№1225 2015 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი

რაგბში 2017 წლის მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის ჩატარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეიქმნას რაგბში 2017 წლის მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის (შემდგომში - ჩემპიონატი) ჩატარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ირაკლი ღარიბაშვილი – საქართველოს პრემიერ-მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი კვირიკაშვილი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი;

ტარიელ ხეჩიკაშვილი – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ნოდარ ჯავახიშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;

მიხეილ გიორგაძე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი;

ნოდარ ხადური – საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

ვახტანგ გომელაური - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

აკაკი ლოდია - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;

დავით ნარმანია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი;

შოთა მურღულია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი;

გიორგი ჩოგოვაძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

გიორგი ნიჟარაძე - ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი.

2. კომისიამ განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები, ჩემპიონატის შეუფერხებლად და მაღალ დონეზე ორგანიზების უზრუნველსაყოფად.

3. შესაბამისმა უწყებებმა, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყონ კომისიის გადაწყვეტილებების განხორციელებას.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**